“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (ლენინგრადი) 2:1 (2:0)

ამ მატჩს ძნელთა რიგს ვერ მივაკუთვნებთ. წლევანდელი საფეხბურთო სეზონის პირველ შეხვედრაში ლენინგრადის “დინამოსთან” ჩემპიონს უნდა გაემარჯვა და გაიმარჯვა კიდეც.

მატჩი მასპინძელთა შეტევებით დაიწყო. მე–5 წუთისთვის თბილისელებს უკვე 4 კუთხური ჰქონდათ მოწოდებული. კარის აღების ხელსაყრელი შესაძლებლობა დაიკარგა მე–5 და 21–ე წუთებზე.

25–ე წუთზე ლენინგრადელებმა თითქოსდა მოიგერიეს თბილისელთა მორიგი იერიში და აქვე შეცდომაც მოუვიდათ. ზუსტად ითამაშა გუცაევმა – 1:0.

ჩემპიონმა თამაშის პირველ ნახევარში კიდევ ერთხელ აიღო სტუმართა კარი. 39–ე წუთზე მცველთა შორის მოხვედრილი დარასელიას დარტყმამ მიზანს მიაღწია – 2:0.

შეხვედრის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო და შესვენების შემდეგ თბილისელებმა შესამჩნევად უკლეს ტემპს. გახშირდა მოკლე გადაცემები. ლენინგრადელებს დასაკარგი არაფერი ჰქონდათ, იგრძნეს მეტოქის მოდუნებაც და თამაშიც გათანაბრდა. ალბათ სავსებით ლოგიკური იყო 85–ე წუთზე მასპინძელთა კარში გატანილი ბურთიც. მცველთა და მეკარის შეუთანხმებლობით კარგად ისარგებლა გერასიმოვმა – 2:1. მატჩი ასეც დამთავრდა.

ზოგიერთი დეტალი. თბილისელებმა პირველ ნახევარში მოაწოდეს 7 კუთხური, ლენინგრადელებმა – 1, მეორე ტაიმში შესაბამისად 4 და 0.

მასპინძლებმა პირველ ორმოცდახუთ წუთში 12–ჯერ დაარტყეს მეტოქის კარში, სტუმრებმა – 7. მეორე ორმოცდახუთ წუთში სურათი მკვეთრად შეიცვალა, დარტყმების ანგარიშია 7:7.

გუნდები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: თბილისის “დინამო” – გაბელია, კოსტავა, კანთელაძე, ჩივაძე, გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, სულაქველიძე, გუცაევი, ჭილაია (მინაშვილი), შენგელია (ჩელებაძე); ლენინგრადის “დინამო” – კალინინი, კუზნეცოვი, ა. სტრეპეტოვი, ჭოხონელიძე, ს. სტრეპეტოვი, ბაკალეცი, ათანასიევი (კოკორევი), ბელოვი, პოლიაკოვი (გერასიმოვი), ჟელუდკოვი, ხრომჩენკოვი. მატჩს სჯიდა დონეცკელი დ. მიზერნი.

ბ. ირემაძე.

“ლელო”, 1 მარტი, 1979 წ.